ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2359264

ნომერი: AR1365448

თარიღი : 21.12.2015

გაცემის თარიღი : 20.01.2016

გაცნობის თარიღი : 21.01.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ახალშენი , N 36-38 , (ნაკვ.45/8) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბი ჩაგიაშვილი პ/ნ 60002003088
- ქუთაისი თბილისის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი სახოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან სოლოღაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. ზმ
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 212709434
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მამუკა ყრუაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 60001015125

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4443 (ნ/1584 22.10.2009)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 22.10.2009

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალიდან დგინდება , რომ ტერიტორიაზე მშენებლობა ნაწარმოები არ არის. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 54-ე მუხლის მე–8 პუნქტის თანახმად, თუ მშენებლობის ნებართვას გაუვიდა ვადა ისე, რომ მშენებლობა არ არის ნაწარმოები და ამ ხნის განმავლობაში მოხდა სივრცით–ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ან/და სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების არსებითი მახასიათებლების (მაგ.: განაშენიანების რეგულირების კოეფიციენტების, შენობათა მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლეების და სხვ.) ისეთი ცვლილება, რაც იწვევს ქალაქთმშენებლობითი პირობების, არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეცვლას, ასეთ შემთხვევაში, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები და არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება ცხადდება ძალადაკარგულად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით , რომ მოხდა სივრცით–ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების არსებითი მახასიათბელების ისეთი ცვლილება, რაც იწვევს ქალაქთმშენებლობითი პირობებისა და არქიტექტურული პროექტის შეცვლას, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა და საჭიროა პირველ ეტაპზე საკითხი დააყენოთ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენაზე რათა სამსახურმა იმსჯელოს საპროექტო ტერიტორიის ახალ განვითარებაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.